პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 22 აგვისტო 1935 წ. № 195 (4351)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

— მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ („პრავდის" მეთაური).
— კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესის უკანასკნელი სხდომა.
— ამხ. მარტის განცხადება.
— ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი.
— თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ბრძანება 1913 წ. დაბადებულთა წითელ არმიაში გაწვევის შესახებ.
— საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება მზესუმზირას ზეთად გადამუშავებისა და გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ

გუშინ დაიხურა კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესი. ეს კონგრესი — თანამედროვეობის უდიდესი მოვლენაა, რომელსაც შეუნელებელი ყურადღებით და იმედით ადევნებენ თვალს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი და მშრომელები. ეს კონგრესი — ისტორიული მიჯნაა მშრომელი კაცობრიობის გზაზე მისი მიზნისაკენ — ექსპლოატაციისა და მონობის წყობილების დამხობისაკენ.

კონგრესი მიმდინარეობდა ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო პროლეტარული ერთობის ნიშნით. მან საფუძველი ჩაუყარა ყველა მშრომელთა ძალების ისეთ ფართო მობილიზაციას კაპიტალთან საბრძოლველად, როგორიც არასოდეს არ ყოფილა მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში. კონგრესმა განსაზღვრა შემობრუნება კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკაში, იგი იყო ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის, კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების ხელმძღვანელობის განმტკიცების კონგრესი. ბოლოს, კონგრესმა ცხადჰყო გამარჯვება ერთიანობისა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა კავშირის პროლეტარიატსა და კაპიტალისტური მსოფლიოს პროლეტარიატს შორის, რომელიც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის.

იმ მხურვალე მისალმებებმა, რომლებითაც შეხვდა კონგრესი ამხ. მანუილსკის მოხსენებას საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შესახებ, რომლებიც მიღწეულია ხალხთა ბელადის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, გამოჰხატეს მთელი მსოფლიოს მუშების სიყვარული და სიმპატიები საბჭოების ქვეყნის საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს მიმართ.

ერთის მხრით, სოციალიზმის გამარჯვება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე — საბჭოების ქვეყანაში, მასების გარევოლუციურების პროცესი, რაც თანდათან ჩქარდება, და, მეორე მხრით, ფაშიზმის შემოტევა, ომის საფრთხის ზრდა, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი — ასეთია ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ კლასობრივ ძალთა განწყობილებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან შეფარდებით კომინტერნის VII კონგრესმა დასახა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ამოცანები, ხელი ჩასჭიდა კლასობრივი ბრძოლის იმ მთავარ რგოლს, რომელიც განსაზღვრავს მის წარმატებას. ეს რგოლია — მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ანტიფაშისტურ ბრძოლაში.

ფაშიზმი — მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე საზიზღარი, გამხეცებული დიქტატურა — ემუქრება მუშათა კლასს, ყველა მშრომელს, მთელს კაცობრიობას. ასეთ მომენტში პროლეტარიატის მსოფლიო პარტიის — კომუნისტური ინტერნაციონალის საბრძოლო მოწოდება ანტიფაშისტური რიგების შემჭიდროებისაკენ, მუშათა კლასის ერთიანობისაკენ დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს დედამიწის ყველა კუთხეში.

ამ საბრძოლო ყიჟინას გაიგონებენ მილიონები. კომუნისტური ინტერნაციონალი ხდება ხალხთა ნამდვილი ბელადი, დემოკრატიულ თავისუფლებათა დამცველი, კულტურის მაუწყებელი და მისთვის მებრძოლი. ფაშიზმი — ეს არის ახალი იმპერიალისტური ომის მთავარი გამჩაღებელი, ყველა მშრომელის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის შეთავსება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან — წარმოადგენს შემდგომ ძირითად ლოზუნგს ახალ სასიცოცხლო და მოქნილ ტაქტიკაში, რომელიც კონგრესმა დასახა. ამით არის შესანიშნავი ის ახალი ტაქტიკა, რომელიც უზრუნველჰყოფს რეფორმიზმისაგან მუშათა კლასის ჩამოშორების დაჩქარებას, მის გადასვლას რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლაზე და მუშათა კლასში განხეთქილების დაძლევას.

კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის მესაჭემ, ანტიფაშისტურმა ტრიბუნმა ამხ. დიმიტროვმა ხორცი შეასხა კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი თვითეული სექციის ამ ახალ ტაქტიკას. მან გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კომუნისტური პარტიების სექტანტური შეცდომები, იმათი სქემატიზმი და დოქტრინიორობა, ვისაც ვერ უსწავლია, თუ როგორ მიუდგეს მასებს, როგორ დაიცვას მათი კონკრეტული ყოველდღიური ინტერესები, ასწავლოს ამ მასებს და ისწავლოს მათს გამოცდილებაზე.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადასდგა იმისაკენ, რომ დაიპყროს სოციალ-დემოკრატიული, უპარტიო მუშათა მასები და მუდმივ მზარდი ანტიფაშისტური ელემენტები ქალაქად და სოფლად. „შევუთავსოთ გერმანელი, ესპანელი, ავსტრიელი და სხვა კომუნისტების რევოლუციური გმირობა ნამდვილ რევოლუციურ რეალიზმთან და ბოლო მოვუღოთ სქოლასტიკური ფილოსოფიის უკანასკნელ ნაშთებს სერიოზული პოლიტიკური საკითხების გარშემო" — აი კომინტერნის ყველა სექციის საბრძოლო ლოზუნგი, რომელიც ასე გარკვევით ჩამოაყალიბა ამხ. დიმიტროვმა.

განმტკიცდნენ და გაიზარდნენ კომინტერნის სექციები. მსოფლიო კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი კომინტერნის VI კონგრესის შემდეგ 1.676 ათასიდან 3.148 ათასამდე გაიზარდა, ამასთან კაპიტალისტურ ქვეყნებში, რეპრესიებისა და სისხლიანი ტერორის მიუხედავად, კომპარტიების წევრთა რიცხვი 445.300-დან 758.500-მდე გაიზარდა. იმ პარტიების რიცხვი, რომლებიც კომინტერნს ემხრობიან, მაშინდელი 65-დან დღეის 76-მდე გაიზარდა. კომპარტიებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების წევრთა რიცხვი (საკ. კ.პ. (ბ) და საკ. ალკკ ჩათვლით) VI კონგრესის დროს 3.835 ათასს აღწევდა, ხოლო VII კონგრესისათვის—6.800 ათასს.

კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებებში, აგრეთვე ფართო კამათის დროს დაწვრილებით იქნა განხილული ცალკეული კომპარტიების საქმიანობა და კონგრესმა გამოიყვანა სერიოზული დასკვნები, მან სთქვა თავისი საქმიანი სიტყვა. ჩვენ ვდგევართ უდიდესი კლასობრივი ბრძოლების წინაშე და „ჩვენ გვინდა, რომ მათ (კომუნისტებმა) რაც შეიძლება მალე ისწავლონ ცურვა კლასობრივი ბრძოლის მღელვარე წყლებში". კაპიტალიზმი ავტომატურად როდი დაიღუპება. იგი ვერც გზას დაუთმობს წინმიმავალ მუშათა კლასს. იგი ძალით უნდა ჩავაგდოთ სამარეში.

კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი სექციების წინაშე დასახულია უდიდესი ამოცანები. ამასთან დაკავშირებით, კონგრესზე განსაკუთრებით მწვავედ იყო დაყენებული კომპარტიების ხელმძღვანელობის საკითხი. ბოლო მოუღონ სექტანტობას და ამავე დროს იბრძოლონ მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, აამაღლონ თავისი თეორიული დონე, ისწავლონ კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა — აი ის ამოცანები, რომლებიც უნდა გადასჭრან კომპარტიებმა, რომ სათავეში ჩაუდგნენ მრავალმილიონიან რევოლუციურ არმიას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის საჭიროა გამობრძმედილი კომუნისტური კადრები, რომლებიც პასუხსაგებ მომენტში თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან. VII კონგრესი იყო კონგრესი კომუნისტური პარტიებისა და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის ძალთა უმაღლესი აქტივობის და ინიციატივის მობილიზაციისა მუშათა კლასის უმრავლესობის დასაპყრობად, მის მოსამზადებლად პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად.

კომინტერნის VII კონგრესმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. მისი გადაწყვეტილებანი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება მუშათა კლასის მომავალ ბრძოლებში, მუშათა კლასი კი კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით დედამიწის პირიდან აღგვის ფაშიზმსა და კაპიტალიზმს.

(„პრავდა" 21 აგვისტო).

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესის უკანასკნელი სხდომა

კონგრესის 20 აგვისტოს სხდომა იწყება 20 საათსა და 55 წუთზე. თავმჯდომარე ამხ. ტორეზი კონგრესის უკანასკნელ სხდომას გახსნილად აცხადებს. სამანდატო კომისიის მოხსენებას კითხულობს ამხ. ფრანცი.

— კონგრესს ესწრება, — ამბობს იგი, — 510 დელეგატი, მათგან 371 კაცი გადამწყვეტი ხმით და 139 სათათბირო ხმით. VII კონგრესს ესწრებიან კომუნისტური ინტერნაციონალის 65 სექციის წარმომადგენლები, კომინტერნის VI კონგრესზე კი მხოლოდ 57 სექცია იყო წარმოდგენილი. VI კონგრესიდან VII კონგრესამდე კომინტერნის მომხრე პარტიათა რიცხვი ავიდა 76-დე. ამ რიცხვიდან 19 პარტია კომუნისტურ ინტერნაციონალს ემხრობა თანამგრძნობთა უფლებით და სათათბირო ხმით. VI კონგრესის პერიოდში კომუნისტური პარტიების, მათ შორის საკ. კ.პ.(ბ)-ის, წევრთა რიცხვი უდრიდა 1.676 ათას კაცს. VII კონგრესზე წარმოდგენილია კომპარტიათა 3.148 ათასი წევრი. კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში VI კონგრესის დროს ითვლებოდა 445.300 წევრი, VII კონგრესის დროს კი — 758.500 წევრი.

კომკავშირში, საკ. ალკკ-ის ჩათვლით, VI კონგრესის დროს ირიცხებოდა 2.196 ათასი წევრი, ხოლო VII კონგრესამდე მათი რიცხვი გაიზარდა 3.750 ათასამდე. წევრთა საერთო რიცხვი, რომლებსაც აერთიანებენ კომუნისტური პარტიები და კომკავშირი, მათ შორის საკ. კ.პ.(ბ) და ალკკ, VII კონგრესამდე გაიზარდა 6.800 ათასამდე, მაშინ როცა VI კონგრესის დროს მათი რიცხვი შეადგენდა 3.835 ათას კაცს. ამხ. ფრანცის ამ განცხადებას მთელი კონგრესი ტაშით ჰხვდება.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით კონგრესის 275 დელეგატი ანუ 55 პროცენტი მუშებია. ჰასაკის მიხედვით დელეგატთა 70 პროცენტზე მეტი 40 წლისაზე ნაკლებია, ყველაზე დიდი პროცენტი (42 პროც.) 31—40 წლის ჰასაკზე მოდის.

მომხსენებლის წინადადებით კონგრესი ერთხმად ამტკიცებს ყველა 510 მანდატს.

შემდეგ, დღის წესრიგის მესამე პუნქტის — ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო გამოყოფილი კომისიის სახელით გამოდის ამხ. გოტვალდი.

ხანგრძლივი, მხურვალე ტაში გაისმის, როცა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის კენჭისყრის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ტორეზი აცხადებს, რომ რეზოლუცია ერთხმად არის მიღებული.

ამხ. ერკოლის მოხსენების გამო გამოყოფილი კომისიის სახელით მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ანდრე მარტი. მისი წინადადებით, კონგრესი ერთსულოვნად ღებულობს რეზოლუციას ამხ. ერკოლის მოხსენების გამო ყველა შესწორებით, რომლებიც მასში ცალკეულმა დელეგაციებმა შეიტანეს. რეზოლუციის ერთხმად მიღება მხურვალე ტაშს იწვევს.

ამხ. მანუილსკის მოხსენების გამო გამოყოფილი კომისიის სახელით გამოდის ამხ. აკერმანი. იგი ამბობს:

— **VII მსოფლიო კონგრესი არის კომინტერნის პირველი კონგრესი, რომელსაც შეუძლია აღნიშნოს სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვება საბჭოთა კავშირში.** ამ განცხადებას ტაშით ხვდებიან.

ტაში მქუხარე ოვაციაში გადადის, როცა ამხ. აკერმანი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და კოლმეურნეების ტრიუმფი განუყრელად დაკავშირებულია ამ გიგანტური გამარჯვების ორგანიზატორის სახელთან, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის სახელთან, ამხ. **სტალინის** სახელთან.

წითელი მანდატების აწევით კონგრესი ერთსულოვნად ღებულობს რეზოლუციას კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით. მქუხარე ტაში ადასტურებს კონგრესის ამ ერთსულოვნებას.

კომუნისტურ ინტერნაციონალში ახალი სექციების მიღების საკითხზე პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი კომისიის სახელით მომხსენებლად გამოდის ამხ. **ვან მინი** (ჩინეთის კომპარტია).

კონგრესი მისი მოხსენების გამო ერთხმად ადგენს: მიღებული იქნას კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებად ინდო-ჩინეთის, ფილიპინის, პერუს, კოლუმბიის, პორტორიკოს, კოსტა-რიკას და ვენესუელის კომუნისტური პარტიები. კონგრესი ავალებს კომინტერნს გადასწყვიტოს პანამის, ეკვადორის და გაიტის კომუნისტური პარტიების მიღების საკითხი, მათი ნამდვილი მდგომარეობის შესახებ მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ. კონგრესი ტანა-ტუვის სახალხო რესპუბლიკის სახალხო - რევოლუციურ პარტიას ღებულობს კომინტერნის სექციად თანამგრძნობი პარტიის უფლებით.

ამხ. ვან მინის გამოსვლის დროს მქუხარე ოვაციას იწვევს საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. **ეჟოვის** გამოჩენა კონგრესის პრეზიდიუმში. ყველა დელეგატი ფეხზე დგება და ხანგრძლივი ტაშით მიესალმება ამხ. ეჟოვს.

თავმჯდომარე **ამხ.** ტორეზი ამხ. პიკს სიტყვას აძლევს. წინადადებისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის წესდების ცვლილებათა შესახებ. ამხ. პიკი წინადადებას იძლევა მიიღონ რეზოლუცია, რომელიც ავალებს აღმასკომს — გადასინჯოს წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებანი VII მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით. კონგრესი რეზოლუციას ერთხმად იღებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. ანგარეტისს. იგი კონგრესს მოახსენებს იმ აპელაციებს, რომლებიც შემოვიდა კონგრესის სახელზე. კონგრესის პრეზიდიუმის სახელით ამხ. ანგარეტისი წინადადებას იძლევა — ყველა ეს აპელაცია განსახილველად გადაეცეს ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიას. ამ წინადადებას კონგრესი ერთხმად იღებს.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები

კონგრესი გადადის დღის წესრიგის უკანასკნელ პუნქტზე — კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნებზე. წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ერკოლის. კონგრესის პრეზიდიუმის სახელით ამხ. ერკოლი წინადადებას იძლევა — აირჩიონ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში 46 წევრი და 33 კანდიდატი.

დარბაზი ტაშით ჰხვდება კანდიდატებს, რომლებიც პრეზიდიუმის სახელით წამოყენებული არიან ახალ აღმასკომში. ამხ. დიმიტროვის სახელი მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას იწვევს. გაისმის მისალმების შეძახილები. „გაუმარჯოს სტალინის ნაცად თანამებრძოლს კომინტერნის მესაჭეს, ამხანაგ დიმიტროვს!". როცა ამხ. ერკოლი ახსენებს სახელს, რომელიც მილიონების გულს აღელვებს, მთელი მსოფლიოს ყველა კუთხის მშრომელთა ფართო მასებისათვის ძვირფას და ახლობელ სახელს, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის, დიდი **სტალინის** სახელს,— ყველა დამსწრე ფეხზე დგება და 15 წუთს გრძელდება მქუხარე ოვაცია, რომელსაც სწყვეტს მისალმების შეძახილები სხვადასხვა ენაზე: „ვივ სტალინ", „ეს ლებე სტალინ", „ე ვივა სტალინ", და კვლავ მთელი დარბაზი **ზანზარებს მქუხარე ტაშისა**გან. მთელი კონგრესი ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს".

კონგრესის მქუხარე ოვაციებს იწვევს, როცა ერკოლი კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობაში ასახელებს შემდეგ ამხანაგებს: **ვან მინს, გოტვალდს, ეჟოვს, ჟდანოვს, კაშენს, კუუსინენს, მანუილსკის, მარტის, მოსკვინს, პიკს, ტორეზს, ერკოლის, ფლორინს** და სხვებს, აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატის ბელადს ამხ. **ტელმანს** და უნგრეთის პროლეტარიატის ბელადს ამხ. **რაკოშის**, რომელნიც ფაშიზმის საპყრობილეთა ჯურღმულებში იტანჯებიან. კონგრესი მხურვალე ოვაციებით ჰხვდება ამ სახელებს.

ამის შემდეგ ამხ. ერკოლი წინადადებას იძლევა აირჩიონ ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიაში 20 ამხანაგი, მათ შორის ამხ. **ენვოლტი**, ანგარეტისი, მონმუსო, სტასოვა, შკირიატოვი, შმერალი, ებერლეინი, და სხვები.

თავმჯდომარე კენჭს უყრის აღმასკომისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობას. კონგრესი მათ ერთხმად ირჩევს. ამხ. ტორეზის განცხადებას, რომ კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოები ერთხმად არიან არჩეული, კონგრესი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

კომინტერნის აღმასკომის წევრები

1) ბრაუდერი, 2) ბრონკოვსკი, 3) ვან მინი, 4) გალახერი, 5) გარლანდი, 6) გეკერტი, 7) გოტვალდი, 8) გრინი, 9) დე ვისერი, 10) დიასი, 11) დიმიტრიუ, 12) დიმიტროვი, 13) დიუკლო, 14) ეჟოვი, 15) ჟდანოვი, 16) იციკავა, 17) კაშენი, 18) კეიროსი, 19) კელერი, 20) კოლაროვი, 21) კოპლენიგი, 22) კუნი, 23) კუუსინენი, 24) ლენსკი, 25) ლინდეროტი, 26) მანუილსკი, 27) მაო ცე-დუნი, 28) მარტი, 29) მოსკვინი, 30) ოკანო, 31) პიკი, 32) პოლიტი, 33) პრესტესი, 34) რაიმონდი, 35) რაკოში, 36) სტალინი, 37) სტეფანოვი, 38) ტელმანი, 39) ტორეზი, 40) ფლორინი, 41) ფოსტერი, 42) ხაიენი, 43) ხაბუდ სალიმი, 44) ჩან გო-ტაო, 45) ჩო ენლიაი, 46) ერკოლი.

კომინტერნის აღმასკომის წევრობის კანდიდატები

1) ბელევსკი, 2) ბლას როკა, 3) ბო-გუ, 4) ბრედლეი, 5) ვარგა, 6) გიოლდი, 7) გოპნერი, 8) გორკიჩი, 9) დალემი, 10) დატ პალმი, 11) დერნბერგერი, 12) დოლორესი, 13) ჟაკმოტი, 14) ზაპოტოცკი, 15) კონ-სინი, 16) კრუმინი, 17) კემბელი, 18) ლევლიენი, 19) ლოზოვსკი, 20) მიხალი, 21) პოპოვი, 22) პრუხნიაკი, 23) სხალკერი, 24) სტოინოვი, 25) ტუომინენი, 26) ულბრიხტი, 27) ფორდი, 28) ფრაშონი, 29) ფურინი, 30) ჩემოდანოვი, 31) შარკეი, 32) შვერმა, 33) შიროკი.

ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია

1) ანგარეტისი, 2) ანველტი, 3) ვალეცკი, 4) გუე-გოჟევსკი, 5) დენგელი, 6) ისკროვი, 7) კრაევსკი, 8) კერიგენი, 9) მაჯი, 10) მაინორი, 11) მონმუსო, 12) სენანდერი, 13) სიროლა, 14) სტასოვა, 15) ტუ ხო-სინი, 16) ფერდი, 17) ცხაკაია, 18) შკირიატოვი, 19) შმერალი, 20) ებერლეინი.

ამხ. გ. დიმიტროვის სიტყვა

მცირე შესვენების შემდეგ, 11 საათსა და 50 წუთზე სხდომა გრძელდება. თავმჯდომარე ამხ. ტორეზი სიტყვას აძლევს ამხ. დიმიტროვს. ამხ. დიმიტროვის გამოჩენა ტრიბუნაზე იწვევს ტაშის გრიალს, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადადის. გაისმის მისალმების შეძახილები სხვადასხვა ენაზე: „როტ ფრონტ!". „ბანზაი", „ურა", „გაუმარჯოს ამხ. დიმიტროვს" ორკესტრი ასრულებს ტუშს.

— კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესი, მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ყველა კონტინენტის კონგრესი, თავდება, ასე იწყებს ამხ. დიმიტროვი თავის სიტყვას და მთელი დარბაზი დაძაბული ყურადღებით უსმენს მას. შემდეგ ამხ. დიმიტროვი მკაფიოდ აჯამებს შედეგებს, ლაპარაკობს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ეს კონგრესი მსოფლიო მუშათა კლასისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

პირველი, ხაზს უსვამს ამხ. დიმიტროვი, ეს კონგრესი იყო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის— საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და კაპიტალისტური მსოფლიო პროლეტარიატის, თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლი პროლეტარიატის ერთიანობის სრული ზეიმის კონგრესი. მეორე, ამ კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძალთა ისეთ ფართო მობილიზაციას, როგორიც არასოდეს ყოფილა მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში. ამხ. დიმიტროვი ხაზს უსვამს კომინტერნის მისწრაფებას — შექმნას ერთიანი პროლეტარული ფრონტი და მუშათა კლასის გარშემო დარაზმოს მშრომელები კაპიტალისა და რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო სახალხო ფრონტზე. მესამე, — ამბობს ამხ. დიმიტროვი, — კონგრესი არის იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის კონგრესი. მეოთხე, ეს კონგრესი იყო მუშათა კლასის ერთიანობის კონგრესი, ერთიანი პროლეტარული ფრონტისათვის ბრძოლის კონგრესი.

თუმცა ჩვენს კონგრესზე, — ამბობს ამხ. დიმიტროვი, — არ იყვნენ სოციალ - დემოკრატ მუშათა დელეგატები, თუმცა მას არ ესწრებოდნენ უპარტიო მუშათა დელეგატები, მაგრამ კონგრესი ლაპარაკობდა არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მუშათა ამ მილიონებისთვისაც. იგი გამოხატავდა მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობის ფიქრებს და გრძნობებს. ეს სიტყვები მქუხარე ტაშს იწვევენ. ამხ. დიმიტროვი ხაზს უსვამს, რომ, მეხუთე, ეს კონგრესი იყო კონგრესი კომინტერნის ახალი ტაქტიკური ორიენტირებისა, რომელიც ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პოზიციებს და ამ საფუძველზე სცვლის ტაქტიკას შეცვლილ მსოფლიო მდგომარეობასთან შეფარდებით.

ამხ. დიმიტროვი აღნიშნავს, რომ კონგრესმა გადაჭრით მოითხოვა აღმოიფხვრას სექტანტობა, რომელიც ამჟამად ყველაზე მეტად აფერხებს მასობრივი ბოლშევიკური პოლიტიკის გატარებას. ამხ. დიმიტროვი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია უდიდესი შეურიგებლობით და ენერგიით ვიბრძოლოთ კომუნისტური პარტიების შინაგანი ერთიანობისათვის.

გაგრძელება მე-2 გვერდზე.

ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი

I

ბოლშევიზმი ისტორიულად შეიქმნა და ვითარდებოდა ოპორტუნიზმისა და რენეგატობის ყოველგვარ ფორმაციასთან შეურიგებელ ბრძოლაში. დიდი ლენინის უკვე პირველ ნაბიჯებს ახასიათებს მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული აგენტურის დაუნდობლად მხილება, მარქს-ენგელსის რევოლუციური თეორიის მთელი სიწმინდის აღდგენა და ახალი ისტორიული პერიოდის პირობებში ამ თეორიის შემდგომი დამუშავება. ბრძოლა რკინისებური ერთიანობით შეკავშირებული პროლეტარული პარტიისათვის. ბრძოლა, რომელშიაც ამხანაგი სტალინი ლენინის დაუღალავი თანამებრძოლი იყო, მოასწავებდა გამანადგურებელი წინააღმდეგობის გაწევას რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ყოველგვარი დამახინჯების მიმართ, მუდმივ სიფხიზლეს ყველა გადახრისა და ანტიპარტიულ მიმდინარეობათა მიმართ.

პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლა, იმ დოკუმენტთა მთელი სიმდიდრის გულდასმით გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებული არიან პარტიის განვითარების სხვადასხვა ეტაპთან, დაწყებული ძველი ნაროდნიკების, ესერების და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლით და გათავებული კონტრრევოლუციური ტროცკისტებისა და ზინოვიეველების, მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და სხვა ანტილენინურ დაჯგუფებათა განადგურებით, აიარაღებს მშრომელ მასებს შემდგომი ბრძოლისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მასალებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა, როგორ ზრდიდა პარტიას ვ. ი. ლენინი. ლენინის მემკვიდრეობის ფართოდ გამოქვეყნება საშუალებას გვაძლევს უშუალოდ, პირველი წყაროებით შევისწავლოთ ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობა იმ დაძაბული ეპოქის მთელს მანძილზე, როცა ჩვენი პარტიის კაპიტნის პოსტზე მოსჩანდა დიდი მასწავლებლის და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადის გიგანტური ფიგურა.

ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია მისი საქმის განმგრძობის, სტალინის სახელი, რომელმაც სოციალიზმის მიზნებისათვის ბრძოლაში მოგვცა ასეთივე ბრწყინვალე გენიალობისა და ასეთივე რკინისებური ნებისყოფის ნიმუშები. ისტორიული როლი ამხანაგ სტალინისა, რომელმაც შესცვალა ლენინი სახელოვან რევოლუციურ პოსტზე, მილიონთა შეგნებაში ჩაწერილია ჩვენ სოციალისტურ გამარჯვებათა წარუშლელი ასოებით. ბუნებრივია, რომ მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია ამხ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან, მის ხელმძღვანელ მონაწილეობასთან მძლავრი და გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტიის მშენებლობაში, პირველხარისხოვანი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და ბოლშევიზმის ისტორიის უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტალურ ნაწილს შეადგენენ.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „**ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის**" სავსეა მასალებით, რომლებიც უაღრესი სიცხადით ასურათებენ სტალინის როლს პარტიისათვის ბრძოლაში რევოლუციურ ასპარეზზე ბელადის გამოჩენის პირველ დღეებიდანვე. ჩვენ ვხედავთ სტალინს, რომელიც საფუძველს უყრის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს იმ პერიოდში, როდესაც მენშევიკთა ბელადები ცდილობდნენ მუშათა მოძრაობისათვის ლიბერალურ - ნაციონალისტური ხასიათი მიეცათ. ჩვენ ვხედავთ, რომ ის მართლაც რკინისებური სიმტკიცით ილაშქრებს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ამჟღავნებს მენშევიკების ხრიკებს ტფილისში, ბაქოში, ბათომში, ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ყველა ძირითად კერაში. ჩვენს წინაშე იშლება მარქსისტულ - ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ამხ. სტალინის თეორიული შრომებისა და შეხედულებათა გიგანტური სიმდიდრე; ეს შრომები და შეხედულებანი მოწმობენ, რომ უკვე რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ამხ. სტალინი გენიალური გამჭრიახობით დამოუკიდებლად იცავდა მარქსიზმის რევოლუციურ საფუძვლებს და სავსებით ემთხვეოდა თავის ნაშრომებში ლენინის ძირითად დებულებებს.

უდიდესი რევოლუციური ბელადის მგზნებარე რევოლუციური მოღვაწეობის ღერძია ის განუყოფელი მთლიანობა რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკისა, რომელსაც ყოველთვის ხაზს უსვამდა ამხ. სტალინი, როგორც გადამწყვეტ წინა პირობას ძლევამოსილი წინსვლელობისათვის.

ამხ. ლ. ბერიას წიგნი *) ეხება ამხ. სტალინის მოღვაწეობას 90-ან წლებიდან დაწყებული. მართალია, ამხ. ბერიას მიერ მოყვანილი დოკუმენტები (რომელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება რუსულ ენაზე) თემის მიხედვით უმთავრესად დაკავშირებულია ამხ. სტალინის მოღვაწეობასთან ამიერ - კავკასიაში. მაგრამ მათი პრინციპული აზრი, მათი იდეური სიღრმე სცილდება ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების ისტორიის ფარგლებს. წიგნი დაუფასებელ მასალას იძლევა მთელი პარტიის ისტორიის ძირითადი საკითხების გაგებისათვის და გვიჩვენებს ამხანაგ სტალინს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის როგორც პროლეტარულ ბელადს, სტრატეგსა და სარდალს.

II

ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია საგრძნობლად იყო დაჩრდილული და დამახინჯებული ამხ. ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის და სხვ. ნაშრომებით, ა. ენუქიძის მიერ გამოთქმული აზრებით, რომლებშიაც თავისი გამოხატულება ვერ ჰპოვა მენშევიზმის წინააღმდეგ ამიერ კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლამ ამხ. სტალინის მეთაურობით.

პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი საქართველოში „მესამე დასი" უახლოვდებოდა ლეგალურ მარქსისტებს. აქ შეიტანა ამხ. სტალინმა ახალი რევოლუციური ნაკადი.

თუ ნ. ჟორდანია და სხვა მენშევიკები მსჯელობდნენ „ნაციაზე", „საერთოდ ქართველებზე" და ძირითად ლოზუნგად აყენებდნენ თეზისს: „ვიყოთ ქართველი და ევროპიელი — აი რა აწერია ჩვენს დროშასო", ი. სტალინმა, რომელიც 1898 წელს შევიდა „მესამე დასში", ამ მსჯელობას დაუყოვნებლივ დაუპირისპირა კლასობრივი ბრძოლის პრინციპი. სწორედ ამხ. სტალინმა, ნ. ჟორდანიას რჩევის მიუხედავად, უდროოდ დაღუპულ ქართველ ბოლშევიკ კეცხოველთან ერთად მოითხოვა არალეგალური პრესის შექმნა. სწორედ ამხ. სტალინმა რუსი ისკრელის ვ. კურნატოვსკის მხარდაჭერით მოითხოვა საწრეო მუშაობიდან მასობრივ აგიტაციაზე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე გადასვლა.

ამხანაგების ჯგუფი, რომელსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობდა, გახდა ლენინური ბოლშევიკური ორგანიზაციის ბირთვი. იგი უდიდეს რევოლუციურ - პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ მუშაობას აწარმოებდა. „მარტო ამხანაგ სტალინს ჰყავდა რვაზე მეტი მუშათა სოციალ - დემოკრატიული წრე". — ამბობს ამხ. ლ. ბერია. ჯგუფი ხელმძღვანელობას უწევს გაფიცვებს, აწყობს მაისობებს და დემონსტრაციებს. „უმთავრესად ამხ. სტალინის, კეცხოველის და მოწინავე მუშების მეცადინეობით ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალურად ბეჭდვა და მათი გავრცელება ტფილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერ - კავკასიის ცალკეულ რაიონებში". ამხ. სტალინის ინიციატივით 1901 წელს შეიქმნა **რ. ს.-დ. მ. პ.** ლენინურ ისკრული მიმართულების ტფილისის კომიტეტი. იმავე 1901 წელს ამხ. სტალინი ბათომში ჰქმნის პარტიულ ორგანიზაციას. ამის გამო ლ. ბერიას მოჰყავს მეფის ოხრანკის „მოწმობა". ბათომის ოხრანკის მუშაკები სტალინის შესახებ სწერდნენ:

„1901 წლის შემოდგომაზე რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტმა ქალაქ ბათომში ქარხნის მუშებს შორის პროპაგანდის გასაწევად გაგზავნა ერთერთი თავისი წევრი, ტფილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის ყოფილი მოსწავლე იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი. ჯუღაშვილის მოღვაწეობის მიხედვით ბათომის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება, რომლებსაც პირველ ხანებში ტფილისის კომიტეტი მეთაურობდა. სოციალ - დემოკრატიული პროპაგანდის ნაყოფმა უკვე თავი იჩინა 1902 წელს ქალაქ ბათომში, როტშილდის ქარხნის მუშათა ხანგრძლივი გაფიცვითა და ქუჩებში მომხდარი არეულობით".

(საქართველოს ცენტრალური არქივი. მოხსენება ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწისა ბათომის ოლქში, საქმე № 1011)

ციხეში, სადაც მოხვდა 1902 წელს, ამხ. სტალინი არ სწყვეტს თავის მუშაობას. ის ციხიდან ხელმძღვანელობს გარეთ დარჩენილ ამხანაგებს, დაუღალავ მუშაობას ეწევა პოლიტიკურ პატიმრებს შორის.

ციმბირიდან გაქცევის შემდეგ 1904 წელს ამხ. სტალინი ბრუნდება ტფილისში და პირველი რევოლუციის მთელი პერიოდის განმავლობაში მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ხაზს, ის არის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების და რევოლუციური მუშებისა და გლეხების ბელადი და ხელმძღვანელი.

ამ წლებში მთელი რიგი სტატიებით ამხ. სტალინი ამცამტვერებს მენშევიკურ თეორიებს მუშათა მოძრაობის სტიქიურობის შესახებ, პარტიის როლისა და მნიშვნელობის ამომწურავ დახასიათებას იძლევა, ასაბუთებს შინაპარტიული დემოკრატიის ბოლშევიკურ გაგებას. ამხ. სტალინის ამ პერიოდის სტატიებში ჩვენ ვხვდებით რევოლუციური თეორიის ძირითადი საკითხების, მათ შორის საერთო ფილოსოფიური საკითხებისაც, ბრწყინვალე გადაწყვეტას.

ლონდონის ყრილობის შემდეგ ამხ. სტალინი ჩადის ბაქოში. და აქაც ის ხდება ბოლშევიზმის უდიდეს წარმატებათა ორგანიზატორად. **„1907—1912 წლების პერიოდში ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გაიზარდა, განმტკიცდა და მენშევიკებთან ბრძოლაში გამოიბრძმედა ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც მიიმხრო სოციალ - დემოკრატიული მუშების დიდი უმრავლესობა"** (ლ. ბერია).

ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ეპიზოდი ამხ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისა ამიერ კავკასიაში; ეს ეპიზოდები განსაცვიფრებელ სახეს იძლევიან რევოლუციური ბელადისას, რომელმაც იცის არწივის თვალით შეჭრა ისტორიულ პერსპექტივებში და რკინის ხელით მოაგვარება ყველა მცირედი წვრილმანისა პარტიის მუშაობაში. მუშაობის სტალინური სტილი უკვე სავსებით ჩამოყალიბდა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის გაჩაღებული არალეგალური ბრძოლების ამ წლებში.

III

ამხ. ლ. ბერიას წიგნი იძლევა ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის მიმოხილვას თვით ამიერ - კავკასიის ფედერაციის შექმნამდე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ამხ. სტალინის ხელმძღვანელი მონაწილეობა, მისი რევოლუციური თანმიმდევრობა და შეურიგებლობა, მისი ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმი წარმოადგენდნენ მძლავრ ბერკეტს ამიერ - კავკასიის ბოლშევიკთა რიგების შემჭიდროებისა და განმტკიცების საქმეში. როცა ამხ. სტალინის მოღვაწეობის ცენტრი გადატანილ იქნა მუშაობაზე საერთო რუსეთის მასშტაბით, იგი კვლავ დაკვირვებით თვალყურს ადევნებდა ამიერ - კავკასიის ორგანიზაციების ყველა უმნიშვნელოვანეს მომენტს.

ცოტაა იმის თქმა, რომ ლ. ბერიას წიგნი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა სტალინის სახით საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადი. უკვე პირველი ფურცლებიდანვე ჩვენს წინაშე დგება სავსებით ჩამოყალიბებული ბელადი, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი რევოლუციური რწმენის გამჭვირვალე სინათლით და გარკვეულობით, მან იცის, თუ როგორ წარმართოს მასების ენერგია და ინტუიციები ერთადერთი სწორი გზით, რომელსაც მუდამ წარმატებისაკენ მივყავართ.

რა ბევრი რამ არის ბელადის ამ სახეში ისეთი, რაც მას ანათესავებს ლენინთან, რა დიდი მსგავსებაა რევოლუციური ბრძოლის ამ ორ ტიტანს შორის!

ამხ. ლ. ბერიას მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები შევლენ ბოლშევიზმის ისტორიის რკინის ფონდში: ისინი ასწავლიან პარტიას, ასწავლიან ყველა მშრომელს იბრძოლონ სოციალიზმის საქმისათვის ისევე თანმიმდევრობით, ისევე შეურიგებლობით, როგორც იბრძვის ბოლშევიზმის უდიდესი მეთაური ამხანაგი სტალინი.

„ვეჩერნიაია მოსკვა", 14 აგვისტო (ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს გაზეთი).

---

*) მოხსენება გამოსცა მოსკოვის „პარტგამომცემლობამ" 100.000 ტირაჟით.

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

ამხ. გ. დიმიტროვის სიტყვის დასასრული

ამავე დროს კონგრესი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ ბოლშევიკური ხაზის გატარება პრაქტიკაში ვერ მოხდება უმტკივნეულოდ, უშეცდომებოდ, ისე რომ არ იყოს ცალკეული გადახრები მარჯვნივ თუ „მარცხნივ", გადახრები ან მექანიკური შეგუებისაკენ, ან სექტანტური თვითიზოლაციისაკენ. თუ რომელია მათ შორის მთავარი საფრთხე, „საერთოდ" — ამაზე მხოლოდ სქოლასტებს შეუძლიათ იდაონ. უარესია ის საფრთხე, რომელიც მოცემულ ქვეყანაში, მოცემულ მომენტში უფრო მეტად უშლის ხელს ამ კონგრესის ხაზის გატარებას.

მეექვსე, — აღნიშნავს ამხ. დიმიტროვი, — ეს კონგრესი იყო ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და კომინტერნის და მის სექციათა ხელმძღვანელობის განმტკიცების კონგრესი, ბოლოს, მეშვიდე, ეს კონგრესი იყო კომუნისტურ პარტიათა ყველა ძალისა და მთელი კომინტერნის უმაღლესი აქტივობის და თაოსნობის მობილიზაციის კონგრესი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოსამზადებლად და გასამარჯვებლად. დასასრულ, ამხ. დიმიტროვი მოუწოდებს კონგრესის დელეგატებს — გაიტანონ ფართო მასებში ამ კონგრესის გადაწყვეტილებანი, განმარტონ ისინი, გამოიყენონ როგორც მილიონიანი მასების მოქმედების სახელმძღვანელო.

— ჩვენ, — აცხადებს ამხ. დიმიტროვი, — მოწაფეები ვართ (გამოტოვებულია).

ჩვენ დიდი მასწავლებლების ღირსნი უნდა ვიყვეთ.

დაახლოებით ღამის 1 საათზე ამხ. დიმიტროვი ათავებს თავის სიტყვას. დიდხანს გრძელდება მთელი დარბაზის ოვაცია. დელეგატები ფეხზე დგებიან და სხვადასხვა ენაზე მღერიან თავისი ქვეყნების რევოლუციურ სიმღერებს.

0 საათსა და 55 წუთზე ამხ. ტორეზი კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესს დახურულად აცხადებს, და ამბობს: „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს ამხ. სტალინს! გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის მესაჭეს — ამხ. დიმიტროვს". კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი იხურება პროლეტარული ჰიმნის — „ინტერნაციონალის" მღერით.

ამხ. მარტის განცხადება

ამხ. მანუილსკის შინაარსიანმა და დამაჯერებელმა მოხსენებამ დაგვანახვა, თუ რამდენად დიდია და ურყევი სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში.

1917 წლის ოქტომბერმა მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაუმტკიცა, რომ მუშებს შეუძლიათ დაამხონ ექსპლოატატორთა ხელისუფლება იმპერიალისტურ სახელმწიფოში და დაიპყრონ ძალაუფლება. დიდი პროლეტარული რევოლუციის მომდევნო წლებმა დაგვანახვეს, რომ მუშებს, რომელთაც ძალაუფლება დაიპყრეს, შეუძლიათ შეინარჩუნონ იგი. ამხ. მანუილსკის მიერ აღნიშნული შედეგები მოასწავებენ ახალი ხანის დასაწყისს კაცობრიობის ისტორიაში. ისინი მოწმობენ, რომ სოციალიზმი შესაძლებელია, რომ იგი უკვე ხორციელდება.

ხოლო იმათ, ვინც II ინტერნაციონალის ბელადთა მსგავსად, კვლავ ამტკიცებს, რომ სანამ ძალაუფლებას დავიპყრობდეთ, უნდა აღვზარდოთ პროლეტარიატი, — საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითი უჩვენებს: სწორედ პირიქით უნდა მოვიქცეთ. ჯერ აუცილებელია რევოლუციური გზით მოვიპოვოთ ძალაუფლება, და მაშინ პროლეტარიატი და გლეხობა ასეული ათასობით წამოაყენებენ კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინრებს, ტრაქტორისტებსა და აგრონომებს, ექიმებსა და მეცნიერებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სოციალისტური მშენებლობის ერთიანი ნებისყოფით. დიახ, ამხანაგებო, სწორედ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში კაპიტალის ძალაუფლება დაამხეს, აქ იფურჩქნება მშვენიერი, ძლიერი, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობა, იზრდებიან ახალი საზოგადოების ახალი ადამიანები. და ეს ხდება იმ დროს როცა კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალგაზრდობა იღუპება, ახრწნება, ჰკარგავს მომავლის რწმენას.

ამხ. მანუილსკის მოხსენების შემდეგ უფრო ნათელი ხდება იმ მხეცური ტერორის მიზეზები, რომლებსაც ახორციელებენ ფაშისტები, ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული ნაწილი. მსხვილი კაპიტალის დაქირავებულ აგენტებს კარგად ესმით, რომ სოციალიზმი საბჭოთა კავშირში, თავისი გიგანტური მიმზიდველი ძალით მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, ნიშნავს კაპიტალიზმის აღსასრულს. მთელი მსოფლიოს გაუბედურებული და ჩაგრული მასები საბჭოთა კავშირს თავსევლებიან თანაგრძნობისა და ენტუზიაზმის უდიდესი, უფრო და უფრო მზარდი ტალღით.

ყოველი პატიოსანი მუშა, მუშათა ყოველი ორგანიზაცია, ყოველი ჩვენი პარტია ვალდებულია მზად იყოს ყველასათვის, რათა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის გამარჯვება, თუ მტრები მას თავს დაესხმიან.

როგორ გაიმარჯვა კაცობრიობის ამ უდიდესმა რევოლუციამ, რომლის სახმენიც ჩვენ გაგვაცნო ამხ. მანუილსკიმ თავის შესანიშნავ მოხსენებაში? მან გაიმარჯვა, ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკების დიადი პარტიის ენერგიის, ერთიანი ნებისყოფის, შრომითი ენტუზიაზმის მეოხებით, მისი ერთიანობის მეოხებით. მან გაიმარჯვა ლენინის დიადი გენიის მეოხებით, ლენინმა დააარსა და ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ წაიყვანა ეს „ახალი ტიპის მუშათა პარტია", პარტია რომელსაც მტკიცე ფესვები აქვს გადგმული საწარმოებში. პარტია, აგებული, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე. მან გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი შეიარაღებული „იყო" მარქსიზმ-ლენინიზმის ზუსტი, შემოწმებული კომპასით.

მაგრამ ეს გიგანტური მუშაობა შეიძლებოდა ჩატარებულიყო მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიას გააჩნდა მტკიცე, მოქნილი მარქსისტულ-ლენინური ხელმძღვანელობა. ამ ხელმძღვანელობას ახორციელებდა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის უდიდესი ავტორიტეტის წინაშე თავს იხრიან არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელები, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელებიც. ხოლო ამ ცენტრალურ კომიტეტში შეუდარებელ ძალას ხელთუპყრია ლენინის დროშა მას შემდეგ, რაც იგი დავკარგეთ. ეს ძალა უეჭველად, ყოველთვის გვიჩვენებდა სწორ გზას. იმ მომენტში, როცა საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება, ყველაფერი არ გვეჩვენებოდა ნათლად და გასაგებად, როგორც იგი ამჟამად წარმოგვიდგება, როცა ამხ. მანუილსკის მოხსენება მოვისმინეთ.

რამდენჯერ იყო, რომ რევოლუცია უდიდესი სიძნელეების წინაშე იდგა? ახლა, მაგალითად, ჩვენთვის სავსებით ცხადია, რომ სოციალისტური მშენებლობა უნდა დაწყებულიყო მძიმე ინდუსტრიის გიგანტების აგებით. მაგრამ იმ წლებში, როცა მხოლოდ იწყებდნენ პირველი ხუთწლედის განხორციელებას, ეს ყველასათვის ნათელი როდი იყო იმ მომენტში პარტიას უყენებდნენ მოთხოვნას — წასულიყო ნაკლებს წინააღმდეგობის ხაზით, უშუალო სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების ხაზით, რომელსაც არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა. ხოლო დღეს ყველას ესმის, რომ ასეთი ხაზი რევოლუციას უმაგალითოდ მძიმე განსაცდელს შეუქმნიდა, იქნებ, დაღუპა კიდეც, მაგრამ პარტიამ უკუაგდო ეს კაპიტულანტური ხაზი. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანმა, რომელსაც მაგრად ეპყრა ხელთ ლენინის დროშა, გვიჩვენა უტყუარი გზა იმ მომენტში, როცა მას ჯერ კიდევ ყველა ვერ ხედავდა.

ზოგიერთები გაიძახოდნენ, რომ ხუთწლედის შესრულება შეუძლებელია, როცა კვალიფიციური მუშები და ტექნიკური ძალები ასე ცოტა გვყავს. და იმავე ადამიანმა, რომელსაც ლენინის დროშა მტკიცედ უპყრია ხელთ, გვიჩვენა, თუ როგორ შევქმენით მრავალ-ათასიანი კადრები თვით მასების წრიდან, ბრძოლის პროცესში, როგორ აღვზარდეთ ისინი ბრძოლის გამოცდილებით და თვითეულისათვის მივუჩინა ის ადგილი, სადაც მას შეეძლო მაქსიმუმი სარგებლობა მოეტანა.

ხოლო როცა პირველი ხუთწლიანი გეგმა უკვე ხორცს ისხამდა, კაპიტალისტები დაცინვით ამბობდნენ: „ვნახოთ, როგორ მოახდენენ ბოლშევიკები აგრარულ რევოლუციას. ისინი ვერ შეძლებენ კოლექტივიზაციის განხორციელებასო".

მართლაც, თუ კოლექტივიზაციას ვერ განვახორციელებდით, თუ ამ გზით ვერ წავიდოდით, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დავთანხმებულიყავით კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობითსა და განუხრელად აღორძინებას სოფლად. ეს საფრთხეს შეუქმნიდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ, ხოლო ამჟამად, როგორც ეს ერთხელ კიდევ დაგვანახვა ამხ. მანუილსკის მოხსენებამ კოლექტივიზაციამ სოფლად გაიმარჯვა. კულაკობა განადგურებულია, როგორც კლასი, კოლმეურნეთა საარსებო დონე მოწინავე კოლმეურნეობებში აღემატება ყოველივე იმას, რაც მათ წინათ მიუწვდომელ ოცნებად ეჩვენებოდათ. ეს განხორციელდა იმიტომ, რომ აქაც იმ ადამიანმა, რომელსაც მაღლა უპყრავს ლენინის დროშა, გადამწყვეტ მომენტში გვიჩვენა უტყუარი გზა.

დიახ, ამხანაგებო, ლენინის გარდაცვალების შემდეგ ახალ მესაჭეს რევოლუციის ყოველ ძნელ ეტაპზე შეეძლო მოენახა უტყუარი გზა, შეეძლო წარემართა ხომალდი ამ გზით, შეეძლო, რაც გაცილებით უფრო ძნელია, დაეძლია ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ეპოქებისაგან ნაანდერძევი ჩვეულებანი და ჩვევები.

ის, ვინც საბჭოთა კავშირი დღევანდელი დღის გიგანტურ მიღწევებამდე მიიყვანა, ის, ვისი ხელმძღვანელობითაც პარტიამ სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწია, ის, ვინც მსოფლიო რევოლუციას ყველაზე მძლავრი და მკვიდრი ბაზა შეუქმნა, — ეს არის ჩვენი დიდი სტალინი და აცხადებს რა ამას, კონგრესი ღირსეულად აფასებს მას. (მქუხარე ტაში).

იგი არის ყველაზე გადამწყვეტ წარმატებათა მთავარი შემქმნელი, იგი საუკეთესო საუკეთესო პროლეტარულ რევოლუციონერთა შორის, რომლებმაც სინამდვილედ აქციეს ის, რაც ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ოცნებად გვეჩვენებოდა — სოციალიზმი.

და კომუნისტური ინტერნაციონალი გაიმარჯვებს, როგორც გაიმარჯვა საკ. კ.პ. (ბ) ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით (მქუხარე ტაში).

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ყველა დამონავებულ კოლონიურ ქვეყანაში მუშათა და მშრომელთა მილიონები, ჩაგრულ ხალხთა მილიონიანი მასები უფრო და უფრო აპყრობენ თავის გულისყურს საბჭოთა კავშირს, მათი განმათავისუფლებელი ბრძოლის შუქურას. როცა ამ დღეებსა და კვირებში ამხ. მანუილსკის მოხსენების ამბავი გადალახავს საპყრობილეთა კედლებსა და ნავთულიან ხლართებს, მიუხედავად ტყვიამფრქვევებისა, შაშხანებისა, მიუხედავად ციხის ჯალათებისა და მიაღწევს ჩვენს ამხანაგებამდე, რომლებიც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან, გადასახლებული არიან უდაბურ კუნძულებზე და ფაშისტური იტალიის საპყრობილეებში ხელს ლპებიან, როცა მიაღწევს ნიუ-იორკისა და ტოკიოს, პარიზისა და შანხაის მუშებამდე,—ყოველი მათგანი, ვინც კი შეძლებს გაეცნოს მოხსენებას თუნდაც ნაწილს, იტყვის: ჯერჯერობით ჩვენ კლასობრივი მტრის ხელში ვართ, მისი უღელი გვადგა". ბურჟუაზიას ჯერ კიდევ შეუძლია გვაწამოს, საშინლად გვაწიროს, მაგრამ მას არ ძალუძს ხელი შეუშალოს ჩვენი პროლეტარული რევოლუციის განვითარებას. იგი ვერ შეძლებს თავიდან აიცილოს კაპიტალიზმის საშინელი წყობილების დამხობა, ისე როგორც მან ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა კაპიტალიზმის დამხობა საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მიერ". (ტაში).

აი, მანუილსკის მოხსენების ყველაზე დიდი შეფასება, როგორიც კი შეიძლება მას მიეცეს. და იგი, უეჭველია, ახეც იქნება შეფასებული.

საჭიროა თუ არა კამათი ამხ. მანუილსკის მოხსენების გამო? იგი ჩვენ ზედმეტად მოგვეჩვენა.

ამიტომ წინადადებას ვაძლევთ კონგრესს საფუძვლად მიიღოს დელეგატებისათვის დარიგებული რეზოლუცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება საუკეთესო დასკვნა ამხ. მანუილსკის მოხსენების გამო.

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, ხალხთა ფედერაციას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ზეიმს მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორსა და ბელადს, ბოლშევიკების პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ნაცადსა და გაბედულ მესაჭეს, რომელმაც საბჭოთა კავშირი სოციალიზმთან მიიყვანა, რომელსაც ახლავე შეუდრეკლად მიჰყავს პროლეტარიატი და ჩაგრული მასები მათი საბოლოო განთავისუფლებისაკენ, — გაუმარჯოს ამხ. სტალინს! (დელეგატები ფეხზე დგებიან. ხანგრძლივი და მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).

საფრანგეთის პრესა შეშფოთებულია

პარიზი, 20 აგვისტო. პრესა იხილავს სამი სახელმწიფოს კონფერენციის ჩაშლას პარიზში და უდიდესი შეშფოთებით სწერს იტალია - აბისინიის ომის აუცილებლობაზე.

„პტი პარიზიენი" აღნიშნავს, რომ თუ აბისინიაში ომმა იფეთქა, „დიპლომატიამ მთელი ძალღონე უნდა მოიკრიფოს, რათა ომის ფარგლები შეზღუდოს, გახადოს იგი კოლონიურ და აფრიკის ომად".

„ტანი" ურჩევს იტალიას შეცვალოს თავისი პოლიტიკა. იგი მოაგონებს მას, რომ ეგვიპტეზე ინგლისის პროტექტორატისა და მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებას დასჭირდება საგრძნობლად დიდი დრო, გაზეთი მოუწოდებს იტალიას დაადგეს თავის გეგმების უფრო ნელად განხორციელების გზას აბისინიაში (ადს).

გავშთა კულტურისა და დასვენების პარკში

ზაფხულის დაწყებისთანავე მრავალი ათასი ბავშვი გაიგზავნა პიონერთა ბანაკებში. სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, იმათთვის, ვინც ქალაქში დარჩა, არსებობს ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნები. ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკი. აქ ბავშვები კულტურულად ისვენებენ, კარგად იკვებებიან და ექიმების მეთვალყურეობით იუმჯობესებენ თავის ჯანმრთელობას. სურათზე: ბავშვთა გართობები კულტურისა და დასვენების პარკში.

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა № 129

ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნის შესახებ.

1. დათხოვნილ იქნან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რომლებმაც დაამთავრეს განუწყვეტელი სამსახურის დაწესებული ვადები.

ა) იმ ნაწილებიდან, რომლებშიაც სამსახურის ვადა 2 წელიწადია — 1933 წელს გაწვეულნი.

ბ) იმ ნაწილებიდან რომლებშიაც სამსახურის ვადა 3 წელიწადია — 1932 წელს გაწვეულნი.

გ) იმ ნაწილებიდან, რომლებშიაც სამსახურის ვადა 4 წელიწადია, — 1931 წელს გაწვეულნი.

დ) 1934 წელს გაწვეული პირნი, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, ხოლო საზღვაო ფლოტიდან — 1933 წელს გაწვეულნი, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა თადარიგის საშუალო მეთაურთა შემადგენლობის წოდების მისაღებად.

2. დათხოვნა მოხდეს:

ა) სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებიდან — ა.-წ. 25 სექტემბრიდან 30 დეკემბრამდე.

ბ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სანაპირო დაცვის ჯარებიდან, — 1936 წლის 15 იანვრისათვის, ხოლო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შინა დაცვის ჯარებიდან — 1935 წლის 30 ნოემბრისათვის.

ვ. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, გუნდში, რაზმში, დივიზიონში, გემებზე და ეკიპაჟებში.

საფუძველი: სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-40 მუხ.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი **კ. ვოროშილოვი.**

19 აგვისტო 1935 წ.
ქ. მოსკოვი.

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა № 128

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ.

1. გაწვეულ იქნან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნამდვილ სამხედრო სამსახურში ა.-წ. 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე 1913 წელს დაბადებული და უფროსი ასაკების მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადადებული ვადები.

გაწვევის ზუსტი ვადები დააწესონ სამხედრო ოლქთა ჯარების (არმიების) სარდლებმა.

2. 1905 წელში დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც წინათ გაწვევის ვადა გადადებული ჰქონდათ, განთავისუფლებულ იქნან გაწვევისაგან და გადაირიცხონ პირველი რიგის თადარიგში.

საფუძველი: სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-131 მუხ.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი **კ. ვოროშილოვი.**

19 აგვისტო 1935 წ.
ქ. მოსკოვი.

პროფკავშირების მუშაობა წვევამდელთა შორის

საქართველოს პროფსაბჭოს კულტინსპექციამ გამოიკვლია პროფკავშირების მუშაობა წვევამდელებს შორის. გამოკვლეულ 12 საწარმოში („კომუნისტის" სტამბა, აგურის ქარხნები, ტრამვაი, სამკერვალო ფაბრიკა, ფეხსაცმელების ფაბრიკა, მაუდკამვოლის ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკები, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, სახკინმრეწვი და სხ.). 288 წვევამდელიდან წერა-კითხვის უცოდინარი აღმოჩნდა მხოლოდ სამი, მცირემცოდნე—38. აქედან უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმული არ არის 14 კაცი, სამხედრო მზადებაში (თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით) ჩაბმული არ არის 85 კაცი.

პროფსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს პროფესიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა წვევამდელებს შორის და ისე მოაგვარონ საქმე, რომ ახალწვეულთა დღისათვის ყოველი წვევამდელი ჩაბმული იქნეს სწავლებაში.

კულტინსპექციას დავალებული აქვს ხელმეორედ შეამოწმოს აღნიშნულ საწარმოებში პროფესიული ორგანიზაციების მუშაობა წვევამდელებს შორის და უზრუნველყოს, რომ არც ერთი მოუმზადებელი ახალწვეული არ იქნეს გაშვებული წითელ არმიაში.

□ □ □

ახალწვეულების ველო-გადარბენა

23 აგვისტოს 26 კომუნ. სახ. ქარხანაში მომუშავე ახალწვეული მუშები, ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით, „ახალწვეულთა დღის" აღსანიშნავად აწყობენ ველო-გადარბენას ტფილისიდან ფასანაურამდე. უკან დაბრუნებისას, 24 აგვისტოს, გადარბენის მონაწილენი შეჩერდებიან ახლო-მახლო სოფლებში და ჩაატარებენ სახელდახელო საუბრებს წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მნიშვნელობის შესახებ.

24 აგვისტოს ველო-გადარბენის მონაწილეები წარუდგენენ პატაკს ლენინის რაიონის მშრომელებს ახალწვეულთა საღამოზე, რომელიც შესდგება პლეხანოვის სახ. კლუბის საზაფხულო შენობაში.

დადგენილება № 1081 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი 1935 წ. აგვისტოს 21

მზესუმზირას ზეთად გადამუშავებისა და გაყიდვის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

იკრძალოს მზესუმზირის თესლის გადამუშავება ზეთად და მზესუმზირის თესლისა და ზეთის გაყიდვა საჯარო მოედნებსა და ბაზრებზე სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში და აგრეთვე ტფილისის ბაზარზე სანამ ხსენებული რაიონები არ შეასრულებენ 1935 წლის მოსავლის მზესუმზირას ჩაბარების გეგმას კონტრაქტაციის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ **ვ. ლუნკევიჩი.**

□

შემთხვევები

**ქურდების დაპატიმრება.** 20 ივლისს მაუდის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში ფანჯრიდან შეიპარნენ ქურდები, რომლებმაც გაქურდეს იქ მცხოვრებნი ა. ი. გუსევა და მ. ა. ჩერკასოვა. ქურდებმა მოიპარეს 3.000 მანეთის ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ ქურდები შეიპყრო. ისინი აღმოჩნდნენ რ. ნ. ასათიანი და ა. გ. აბზიანიძე. ქურდებს თითქმის ყველა მოპარული ნივთი აღმოაჩნდათ. მოპარული ნივთები პატრონს დაუბრუნეს.

**მცირეწლოვანი მძარცველი.** ფედერაციის მოედანზე მოქ. კ. ბ. კალანდაძეს 14 წლის ფ. ე. შირკოვმა ხელიდან გამოსტაცა ნაყიდი ნივთები. შირკოვი შეიპყრეს.

**გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.** ბრძოლის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონზე შეხტომის ცდის დროს ჩამოვარდა და მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა გ. მ. გურქოვი (ნახიჩევანის ქ. № 11). გურქოვი იქვე გარდაიცვალა. გვამი გაგზავნილია პროზექტურაში.

□

პარტკალენდარი

საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციების ამხ. ს. ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ ა.-წ. 22 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში კომკავშირის აქტივისათვის მოეწყობა კონსულტაცია შემდეგ საკითხზე: ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარება.

კომკავშირის აქტივის დასწრება სავალდებულოა.

„საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ ა.-წ. 22 აგვისტოს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში ძირეული პარტაქტივისათვის მოეწყობა კონსულტაცია შემდეგ საკითხზე: საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტსაბუთების შემოწმების მსვლელობის შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის

ყველა კურსის მსმენელნი აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტში ა. წ. 6 სექტემბერს.

დირექცია
პარტკომი.

9219

ვინ არიან დაშვებულნი გამოცდაზე

ამ პირთა სია რომელნიც დაშვებულნი არიან ამხ. სტალინის სახ. საქ. უმაღლეს სახ. სამ. კომუნისტურ სკოლაში მისაღებ გამოცდებზე. ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სკოლაში არა უგვიანეს ა.-წ. 25 აგვისტოს.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.

მელაძე ნადეჟდა პავლეს ასული.

ტფ. კომიტეტი

მუჯირიშვილი ვასილი ივანეს-ძე, თავართქილაძე ქსენია ლევანის—ასული, ჯანიაშვილი პეტრე სოლომონის-ძე, უგრეხელიძე მიხეილი ერასტის-ძე, ტატუნაშვილი გიორგი მათეს-ძე.

ა.ლ.კ.კ.ც.კ.

დოლიძე აპოლონი დავითის-ძე, ნაკაიძე დავითი სამსონის-ძე, ცაბაძე გიორგი შიოს-ძე, სოხიაშვილი შალვა ნიკაძე, გულუა აკაკი სენდუქის-ძე, ხარაძე ნიკოლოზი გიორგის-ძე, ბრუნჯაძე ომარი შაქარის-ძე, არველაძე სერგო პეტრეს-ძე.

ქართ. დივიზ. პ.-გან.

ქუკულაძე ჯაბა პართენის-ძე, კვარაცხელია მირიანი ისიდორეს-ძე, თეთრუაშვილი გიორგი სიმონის-ძე, დარჩია იამა გიორგის-ძე, გეგუჩაძე რაფიელ ალექსანდრეს-ძე, კალაძე ნიო ბიჭიას-ძე, ახალაძე ვალერიანი ანდრიას-ძე, გელაშვილი სიმონი იოსების-ძე, ლაგაზიძე ადამ. ალექსის-ძე, მათიაშვილი გიორგი შაქროს-ძე, გოგიშვილი ივანე სპირიდონის-ძე, ხიხაძე გრიგოლი იორამის-ძე, როყუა ვასილი სერგოს-ძე, გიორგობიანი სოლომონ იოსების-ძე

ახალქალაქის რაიონი

ყაურელიშვილი დავითი იასონის-ძე, მიქელაძე ლავრენტი გიორგის-ძე.

ახალციხის რაიონი.

ოქრომელიძე გაბო ბესოს-ძე, ჭელიშვილი ვასილი ივანეს-ძე.

ადიგენის რაიონი

სარაშვილი ედუარდ იოსების-ძე, იზორაშვილი ალექსანდრე სტეფანეს-ძე, ჩილაშვილი მიხეილი ანტონის-ძე.

ასპინძის რაიონი.

მაზნიშვილი ლაზარე ზაქარიას-ძე, ზმალაძე გიორგი რაჟდენის-ძე, დავლაშელიძე იოსები პეტრეს-ძე.

ხაშურის რაიონი

თედიაშვილი ლევანი დიმიტრის-ძე, ლომიძე იასონი სიდამონის-ძე, მჭედლიშვილი მიხეილი დიმიტრის-ძე, მურჯიკნელი დიონი მიხეილის-ძე.

გორის რაიონი

მინდიაშვილი ილია სოლომონის-ძე, ზაალიშვილი ლავრენტი ვასილის-ძე, ბიჩინოვი ადამი შიოს-ძე, ცაბაძე ესტატე დავითის-ძე, მაჭარაშვილი ვასილი მოსეს-ძე, ვარძელაშვილი პავლე დიმიტრის-ძე.

კასპის რაიონი.

მუზაშვილი არსენი ვლადიმერის-ძე, უზნაძე ირაკლი ალექსის-ძე, ილურიძე თამარა სოლომონის—ასული, პაპიაშვილი ელენა ილიას—ასული.

ბორჯომის რაიონი

შელია მიხეილი დიმიტრის-ძე, არუთინოვი ალექსი სარქისის-ძე, გულიაშვილი ლავრენტი ზურაბის-ძე.

სიღნაღის რაიონი

უსუფაშვილი ნიკო იოსების-ძე, ბატიაშვილი მიხეილი თედოს-ძე, სიუმაშვილი მიხეილი დიმიტრის-ძე, ვარდიაშვილი ვასო ალექსის-ძე.

გურჯაანის რაიონი

ჩახვაშვილი მიხეილი ნიკოლოზის-ძე, თერგიაშვილი დავითი სერგოს-ძე, ოგანოვი ანნა ზაქარიას—ასული.

თელავის რაიონი

გაზრუტაშვილი მიშა კაკოს-ძე, დვალიშვილი დათიკო ვასილის-ძე, ხოსიაშვილი ვასო ზაქროს-ძე, მურველაშვილი მარო ალექსის—ასული, კაზალოვი ბაშირ ყარაოღლის-ძე.

ყვარელის რაიონი.

მარკოზაშვილი თედო დიმიტრის-ძე, ტოხილაშვილი შაქრო ალექსის-ძე, ბეგაშვილი ნიკო მალხაზის-ძე.

ლაგოდეხის რაიონი.

ზარნაძე კალნიკა სანდროს-ძე, მარტიაშვილი ხვთისო თომას-ძე, შუბითიძე ტრიფონი სიმოს-ძე.

ტფილისის რაიონი.

მამულაშვილი სტეფანე გიორგის-ძე, ქონიაშვილი ვასილი ალექსანდრეს-ძე, ჩადუნელი შალვა სოლომონის-ძე, იაშაღაშვილი ბაგრატი ალექსანდრეს-ძე.

ბორჩალოს რაიონი.

ტალიაშვილი ივანე ილიას-ძე, ბიბილაშვილი ირაკლი იოაკიმის-ძე.

ლუქსემბურგის რაიონი.

საკოვი ვასილი გიორგის-ძე, მამარდაშვილი სანდრო გიორგის-ძე, სარქისოვი შაქრო ლევანის-ძე.

დუშეთის რაიონი.

ზიბილაშვილი ვასილი სამსონის-ძე, პეტრიაშვილი ხვთისო ფილიპეს-ძე, ჯარიაშვილი ალექსი თედორეს-ძე, მღდლიშვილი ალექსანდრე იოსების-ძე.

ალბულაღის რაიონი.

ცქრიალაძე ნიკოლოზი გიორგის-ძე, ალსიაშვილი ვასო ივანეს-ძე.

საგარეჯოს რაიონი.

სონიძე იოსები დავითის-ძე, კირვალიძე გიორგი ლუკას-ძე, როსტიაშვილი სანდრო გიორგის-ძე.

თიანეთის რაიონი.

სამუკაშვილი სოლომონ შალვას-ძე, ფეტვიაშვილი ნიკო გიორგის-ძე, გეღეშური ივანე თომას-ძე, პავლიაშვილი ივანე იოსების-ძე.

ყაზბეგის რაიონი

ფირცხალაური გრიშა ტოტეს-ძე, სუჯაშვილი არსენი ნიკოლოზის-ძე.

ქუთაისის რაიონი.

კობახიძე ვალიკო იაკობის-ძე, ჯიქიძე ანნა პავლეს ასული, ზაუტაშვილი იოსები ბესარიონის-ძე, [illegible] შალვა ბესარიონის-ძე, [illegible] რაფაელის-ძე, [illegible] ფეიქრიშვილი დიმიტრი არუთინის-ძე.

სამტრედიის რაიონი.

კაჭახიძე ნიკოლოზი ფარნაოზის-ძე, ხვიჩია დავითი სოლომონის-ძე, გეგეშიძე ივლიანე ივანეს-ძე, შალიკაშვილი ოდე აბესის-ძე.

ხონის რაიონი.

სვანიძე დავითი ბართლომეს-ძე, კეთილაძე კორნელი ივანეს-ძე.

ვანის რაიონი.

სულაბერიძე ვალერიანე ვასილის-ძე, გვეტაძე გრიგოლი ივანეს-ძე.

ბაღდათის რაიონი.

თოდაძე ელენა ნიკოლოზის—ასული, დვალიძე ლევანი ივანეს-ძე.

ჯუღელის რაიონი.

ჯულუხაძე ნიკოლოზ იაკინთეს-ძე, ჩიტორელიძე პავლე ბესარიონის-ძე, ომანაძე ილია რომანოზის-ძე.

ჩხარის რაიონი.

ბუცხრიკიძე მარო დიმიტრის ასული, წიწილაშვილი პლატონი დიაროზის-ძე, შათირიშვილი მელენტი იორამის—ასული.

ჭიათურის რაიონი.

გოცაძე აქსენტი სარდიონისძე, ტაბატაძე ზოსიმე ექვთიმეს-ძე, ჩარკვიანი მარგალიტა ერმილეს—ასული, ბაქრაძე ლევანი კონსტანტინეს-ძე, ხვედელიძე ვიქტორი რომანოზის-ძე.

ხარაგოულის რაიონი.

დევდარიანი პავლე სოლომონის-ძე, გოგოლაძე ერემია ექვთიმეს-ძე, გაჩეჩილაძე დავითი ალექსანდრეს-ძე, კვირიკაშვილი ვლადიმერი თედორეს-ძე.

ტყიბულის რაიონი.

კახიძე კაპიტონ ივანეს-ძე, გვენეტაძე აპოლიტე ვასილის-ძე, აფრიდონიძე გიორგი ონისიმეს-ძე, გაბრიჩიძე პროკოფი ვანოს-ძე, ზაუტაშვილი პართენი თეოფილეს-ძე, აბესაძე გენადი გიორგის-ძე.

ონის რაიონი.

გობეჯიშვილი ლადო ისიდორეს-ძე, ჯობაძე დავითი სპირიდონის-ძე, ჩიღვინაძე ესტატე თედოს-ძე.

ამბროლაურის რაიონი

რატიანი ვასილი ლევანის-ძე, გურგენიძე ლავრენტი ილიას-ძე, წერეთელია ბენია ვასილის-ძე.

ცაგერის რაიონი.

ბლავიძე ვალიკო ალექსის-ძე, ლარცულიანი მიხა სანდროს-ძე, ჩაკვეტაძე სოკრატე ევგენის-ძე.

აბაშის რაიონი.

ნოდია სერგო ივანეს-ძე, ჯაჯანიშვილი შალვა ბუღლუს-ძე, ლიპარტია კლემენტი თეიმურაზის-ძე.

ცხაკაიას რაიონი.

მირგატია ვლადიმერი სტეფანეს-ძე, შეროზია კაპიტონი სევერიანეს-ძე, გაბელია ვლადიმერი თეიმურაზის-ძე.

მარტვილის რაიონი.

თოდუა სანდრო ალექსის-ძე, ტორჩინავა ანდრო პეტრეს-ძე, ცირეკია ევგენი ერმილეს-ძე.

ზუგდიდის რაიონი.

ბულია ოთარი ნესტორის-ძე, ებრალიძე სევერიანე პლატონის-ძე, ყურუა ლიპარიტი ალექსის-ძე, როგავა ლეონტი მაქსიმეს-ძე.

ხობის რაიონი

ღურწკაია მიხეილი პეტრეს-ძე, ლატარია ვასილი პეტრეს-ძე.

წალენჯიხის რაიონი.

ლომაია ვერა კაენის—ასული, ძაძამია აკაკი ილიას-ძე.

ჩხოროწყუს რაიონი.

ქვარცხავა ილია მიტოს-ძე, მამფორია ბათლომე ქოთას-ძე.

მახარაძის რაიონი

ყარეგიშვილი ივანე ესეს-ძე, ბილიხოძე კოსტა ამბაკოს-ძე, ურუშაძე შოთა იოსების-ძე.

ჩოხატაურის რაიონი.

კოპალეიშვილი ლონგინოზ ივანეს-ძე.

ზემოსვანეთის რაიონი.

გურჩიანი მუზა ეზას-ძე, კვიციანი არტემი სოსრეხის-ძე, პირველი ალექსანდრე იოსების-ძე.

ქვემოსვანეთიდან

ბაბლოვანი ბესარიონი გიორგის-ძე, ქურასბედიანი მიხა ივანეს-ძე, ტვილდიანი სერგო თეიმურაზის-ძე, ონიანი არდევანი ლეკოს-ძე.

ფოთის რაიონი

თარგამაძე სევერიანე ფილიპეს-ძე, ლეგანია მიხეილი ერმილეს-ძე, ღლონტი ევტიხი გიორგის-ძე.

აფხაზეთიდან.

ხულორდავა პეტრე ვასილის-ძე, ბულისკერია ივლიანე კოსტას-ძე, გაზარია აკაკი ისიდორეს-ძე, ანდრეევი გრიგოლი ალექსის-ძე, ტაბაღუა კოკი თენგიზის-ძე, ლოგუა სევერიანე მახარობლის-ძე, იზორია ილია გიორგის-ძე.

აჭარისტანიდან.

ჯაფარიძე ჯემალ ახმედის-ძე, ქარსანიძე დომენტი მიხეილის-ძე, ჩხაიძე მარო მალაქიას—ასული, ჩხარტიშვილი გერმანე გიორგის-ძე, გოგიაშვილი გალაქტიონ კირილეს-ძე, ხაზარაძე ნოე ივანეს-ძე, დუმბაძე ხემიდი მამედის-ძე, ტიკარაძე გრიგოლი ყადიმხანის-ძე.

სამხრეთ-ოსეთიდან

მინდიაშვილი შალვა სოლომონის-ძე, ლომსაძე დიმიტრი დავითის-ძე, ბერუაშვილი იოსები სანდროს-ძე, ტიგიევი დიმიტრი მაქსიმეს-ძე, ბააზოვი შალომ აბრამის-ძე, თალაკვაძე აკაკი გერასიმეს-ძე (ოზურგეთი), ბედია დანიელ სოლომონის-ძე (ოზურგეთი).

ლანჩხუთის რაიონი.

იმედაშვილი აქსენტი სილვესტრის-ძე.

ოქტომბერი
5, 7, 9, 11
დამკვრელი (სახ.-სახამთ.)
6-30, 8. 9-30. 11
ტემპი (საზაფხ. ზმოვანი)
8-15, 9. 11-15
რ. ლიუქსემბურგის სახ.
5, 7, 9, 11
ეთერი (საზაფხ.)
9. 10-30
„26"-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ.
(დიდუბეში). 9, 10-15

პეპო
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
სცენარი და დადგმა დამსახურებულ
ოჯახის. ა. ბეკ-ნაზაროვისა
ახალი მხატ. ფილმი ფირმის საიდუმლოება
სოფიო მაგარილის მონაწილეობით.
ხმოვანი ფილმი სომხეთის ნაწარმოები
პეპო
გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით.
სცენარი და დადგმა დამ. რეჟ. ა. ბეკნაზაროვისა.
მხატვრული სურათი მიყვარხარ?
საზამთ.—ხმოვანი სურათი—შიგ პარიზში
საზაფხ.—ადამიანი და ლივრეია
მხატვრული ფილმი ბორა

პლეხანოვის პროსპექტზე № 207 გაიხსნა
საქართველოს სახკინმრეწვის
ფოტოგრაფია
მიიღება ყოველგვარი შეკვეთები სურათების გადასაღებად და გასადიდებლად სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან, ყოველდღე დილის 9 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე. ფასები ხელმისაწვდომია. შეკვეთების შესრულება—სწრაფი და ბეჯითი. ფოტოგრაფიას მომსახურეობას უწევენ მაღალკვალიფიციური კადრები. ნ. 272 2—2

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში

მისაღები გამოცდები დაიწყება 27 აგვისტოს.

ამხანაგები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის სამანდატო კომისიის მიერ დაშვებული არიან გამოცდებზე, უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტში 27 აგვისტოს დილის 9 საათზე.

ამხანაგები რომლებიც აღნიშნულ დროს არ გამოცხადდებიან, დაშვებული არ იქნებიან გამოცდებზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექცია.

კონკურსი

„ვეფხის-ტყაოსნის" მხატვრული ილუსტრაციის ესკიზების შედგენაზე.

შოთა რუსთაველის 750 წლის დაბადებასთან დაკავშირებით, რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი აცხადებს კონკურსს „ვეფხის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემის მხატვრულ ილუსტრაციებზე. კონკურსის თემას განსაზღვრავს პოემის ეპიზოდების სიუჟეტები.

კონკურსის პირობები:

1. კონკურსში მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს არა ნაკლებ ორი ეპიზოდისა: ა) „ზანგებს კიდობნით მიჰყავთ ნესტან-დარეჯანი"; ბ) „ქაჯეთის ციხის აღება".
2. ერთი ესკიზი შესრულებულ უნდა იქნეს ფერებში; ფერების რაოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს ათისა. მეორე ესკიზი—გრაფიკულად.
3. წარმოდგენილი ესკიზების ფორმატი ზომით უნდა იქნეს არა ნაკლებ 30 კვ. სანტიმეტრისა და არა უმეტეს 50 კვ. სანტ.
4. კონკურსზე წარმოდგენილი ესკიზები უნდა იქნეს საბოლოოდ დამუშავებული, რომ მიღებულ ნამუშევრის მიხედვით ავტორს მიეცეს მთელი პოემის ილუსტრაციების დაკვეთა.
5. საკონკურსო კომისიაში ესკიზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ავტორის დევიზით, ხოლო დაბეჭდილ კონვერტში აღნიშნულ უნდა იქნეს ავტორის გვარი სახელი, მამის სახელი და სწორი მისამართი.
6. დაწესდეს ორი პრემია: 1) 3.000 მან.. 2) 2.000 მან.
7. ესკიზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ა. წ. ნოემბრის 1 საიუბილეო კომიტეტში (საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობა) 15 საათამდე.
8. ესკიზების განსახილველად და პრემიების მისასჯელად საიუბილეო კომიტეტის მიერ გამოყოფილ იქნება ჟიური.
9. ყოველგვარი ცნობების მიღება ამ კონკურსთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ტფილისი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი.

ნ. 279

შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი.

შალამბერიძე, წინამძღვრიშვილი, შარაბიძე, ჯანჯღავა, უნგიაძე, პატარიძე, სადილიანი და არჩილ დავლიანიძე იუწყებიან ვალიკო სალაძის მამის
ტარასი სალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აგვისტოს ქ. ჯუღელში. 2299

საზკვების საქალაქო კომიტეტის თანამშრომლები: ელენტი, გაჩეჩილაძე და ამირაგოვი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. სალაძის მამის
ტარასი სალაძის
გარდაცვალების გამო. 9222

შვილი ნიკა ყაზბეგი ცოლით თამარით იუწყებიან ძვირფასს დედის
ეკატერინე როსტომის—ასული ყაზბეგის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22 აგვისტოს 5 ნახევარ საათზე. გრიბოედოვის ქ. № 31. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. 9228

საგა, პავლე, მიშა, თამარი, ელენე ორჯონიკიძეები და მირონ ჩუბინიძე გამოსთქვამენ მწუხარებას პირველის საყვარელ ბაბუას და მეორის მამამთილის
ეფრემ ბესოს-ძე ორჯონიკიძის
გარდაცვალების გამო. დასაფლავება სოფ. ღორეშაში, 23 აგვისტოს. 9224

ცოლი მარიამი, შვილები: ვალიკო, დიტო, ნინა, გუგული, შალიკო თავიანთი ოჯახებით, გაზრდილი ქეთო იუწყებიან ძვირფასს
ნოე გიორგის-ძე მგალობლიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება 24 აგვისტოს 7 ს. ქუთაისში, გოგებაშვილის მეექვსე შესახვევი 18. 9226

შვილები: ევგენი, მიშიკო, რაისა. დები: კატუშა, იულია, მარო, ძმა სანდრო მეუღლით სონია, გივი ბალდავები იუწყებიან, რომ 25 აგვისტოს 5 ს. ხონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
დიმიტრი ბალდავას
ხსოვნის აღსანიშნავად. 9223

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო და თანამშრომელნი მწუხარებით იუწყებიან ობსერვატორიის ერთგული მუშაკის მთ. ბუღალტერის
ალექსანდრე (საშა) სოლომონის-ძე წერეთლის
უდროოდ გარდაცვალებას. 9225

ცოლი სოფიო ქრისტეფორეს—ასული ბუკია მადლობას უცხადებს ყველა იმ დაწესებულებებს, კოლეგებს, თანამოსამსახურეებს, მეგობრებს და ნათესავებს ვინც გაიზიარა ჩემი მწუხარება
ევგენი პეტრეს-ძე ბუკიას
გარდაცვალების გამო. 9227

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 8—62—26 რედაქტორის მოადგილის 3—63—03. პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67 ხაზდივნის 3—06—38, მას თბრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61 სამრეწველო განყოფილების 3—72—40 სტამბის 3—27—04 გამომცემლობის 3—81—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ბ 8477